და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით სათავე დაუდო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უნივერსალურ მოცვას. საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმამ უზრუნველყო ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურებით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცულია მოსახლეობის 90%-ზე მეტი.


2013 წლის 28 თებერვლიდან 1 ივლისამდე მოქმედებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობდა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ოჯახის/უბნის ექიმის მომსახურებას და გადაუდებელი შემთხვევების მართვას როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დონეზე.

2013 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპი - ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოქალაქეებისთვის ამოქმედდა ბაზისური პაკეტი, რომელიც ფარავს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ, გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასა და მშობიარობას. პროგრამის ფარგლებში ასევე ხდება საბაზისო მედიკამენტების დაფინანსება მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

2017 წლის მაისიდან, პროგრამის შემდგომი რეფორმირებისთვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა ბენეფიციარების დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმების შემუშავება (მოსარგებლებების შემოსავლების მიხედვით), რომლის ამოსავალი წერტილია უფრო მეტად საჭიროებაზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება და მიდგომის - „სოციალური სამართლიანობა“ - მეტად განვითარება.

2017 წლის 1 ივლისიდან ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პაციენტთა უზრუნველყოფა გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი 2), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა და სხვ. რიგი სამკურნალო მედიკამენტებით. საყოველთაო ჯანდაცვის შემოღებამ გამოიწვია სამედიცინო სერვისების გამოყენების ზრდა (სურათი 3.5, 3.6).

სურათი 3.5 ჯანდაცვის სერვისებით მოცვა საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

სურათი 3.6 სერვისების უტილიზაცია საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში

ჰოსპიტალიზაცია 100 მოსახლეზე

ამბულატორულ დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2015 წლის ჯანმო-ს ევროპის ჯანდაცვის ანგარიშის თანახმად, საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებულად იქნა აღიარებული. UNDP-ის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხული ბენეფიციარების 80.3% კმაყოფილია მიწოდებული ამბულატორიული სერვისით, ხოლო საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში მიღებული ჰოსპიტალური გადაუდებელი დახმარებით აბსოლუტურად კმაყოფილია გამოკითხულ ბენეფიციართა 96.4%.

ჯანმო-ს ბოლო მონაცემებით, ევროპის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 6 ამბულატორიული ვიზიტი მოდის. საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს ინდიკატორი არ აღემატებოდა 2.2-ს. საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში

ამბულატორული და ჰოსპიტალური მიმართვების რაოდენობა მატულობს, რასაც საფუძვლად უდევს ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა. 2018 წელს საქართველოში ამბულატორიული მიმართვების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 3.2-ს გაუტოლდა.

საერთაშორისო ორგანიზაციების (World Bank, WHO, USAID) კვლევის მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვის ძირითად მიღწევად აღნიშნულია: სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სამედიცინო სერვისების უტილიზაციის მატება, ფინანსური ბარიერების შემცირება და მოცვის გაზრდა.

ლიმიტირებული სახსრების პირობებში ხარისხის უზრუნველყოფად 2017 წლის მაისიდან დაიწყო სელექტიური კონტრაქტირების დანერგვა. სელექცია განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით: სერვისების მოცვა, სერვისების ხარისხი, სერვისების მოცულობა, ფინანსური გამჭვირვალობა და საჯარიმო სანქციებზე „დამყოლობა“.

2017 წლის პირველი მარტიდან დაიწყო მშობიარობებებისა და საკეისრო კვეთების და ნეონატალური ინტენსიური დახმარების სერვისების, ივლისიდან II-III დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის, ხოლო 2018 წლის იანვრიდან - გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებათა სელექტიური კონტრაქტირება.

„ვერტიკალური“ სახელმწიფო პროგრამები

საყოველთაო ჯანდაცვის გარდა, სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებს, და ასევე, ცალკეულ პროგრამებს პრიორიტეტული მიმართულებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები:

- დაავადებების ადრეული გამოვლენა და სკრინინგი
- იმუნიზაცია
- ეპიდზედამხედველობა
- უსაფრთხო სისხლი
- პროფესიული დაავადებების პრევენცია
- TB-ის მართვა
- აივ/შიდსის მართვა
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა
- ნარკოდამოკიდებული პაციენტების მკურნალობა
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- C ჰეპატიტის მართვა

პრიორიტეტული მიმართულებების სახელმწიფო პროგრამები

- ინფექციური დაავადებების მართვა
- ფსიქიკური ჯანმრთელობა

- დიაბეტის მართვა
- წამალდამოკიდებულების მკურნალობა
- ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგია
- ქრონიკული არაგადამდები დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მიწოდება
- დიალიზი და თირკმლის ტრანპლანტაცია
- ინკურაბელური პაციენტების პალიატიური მოვლა
- იშვიათი დაავადებების მკურნალობა
- სასწრაფო და გადაუდებელი დახმარება
- სოფლის ექიმები
- წვევანდელეების სამედიცინო სკრინინგი
- რეფერალი (ინდივიდუალური მკურნალობა)

ცხრილი 3.15 **ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები, დანახარჯები, მლნ ლარი**

	2013	2014	2015	2016	2017	2018
საყოველთაო ჯანდაცვა	70	338	574	681	710	760
საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	31	53	69	73	73	92
პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამები	95	124	140	149	158	179
სულ	436	583	783	903	941	1032


წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

დანახარჯები ჯანდაცვაზე

საქართველოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ყოველწლიურად იზრდება, რაც სამედიცინო მომსახურეობაზე მოთხოვნის მატებასა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

საქართველო ჯანდაცვაზე ხარჯავს თითქმის იმდენივეს (8-9%), რამდენსაც ევროპის მდიდარი ქვეყნები (ჯანდაცვაზე საერთო დანახარჯი) (სურათი 3.8).

სურათი 3.7 ჯანდაცვაზე დანახარჯების დინამიკა, საქართველო



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2013 წლიდან ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ჯანმრთელობის პოლიტიკას.


ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა (2012 წ. 450 მლნ ლარი – 2017 წ. 1092 მლნ. ლარი).

მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები ყოველწლიურად იზრდება (2012 წ. - 1.7%, 2017 წ. – 3%), თუმცა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთ ევროპის (EU15) - 8%, ევროკავშირის (EU28) - 7,3% და ევროპის 53 ქვეყნის - 5,7% საშუალო მაჩვენებლებს.

2014-2017 წლებში ჯანმრთელობაზე სახელმწიფო დაფინანსების მატება დაფიქსირდა ერთ სულზე გადაანგარიშებით: 2014 – 186 ლარი; 2017 – 293 ლარი.

ჯანმოსა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, ხარჯთეფექტიანი რეფორმების გატარებით, ქვეყანამ გააუმჯობესა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე და უზრუნველყო მოსახლეობის უკეთესი ფინანსური დაცულობა (სურათი 3.8).

სურათი 3.8 სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე ერთ სულ მოსახლეზე, საქართველო



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2012-2017 წლებში ჯანდაცვაზე მიმართული თანხები დაფინანსების წყაროების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სახელმწიფო (2012 – 21%; 2017 - 38%), კერძო (2012 – 77%; 2017 - 60%), საერთაშორისო დახმარებები და გრანტები (2012 – 2.3%; 2017 – 1.7%).

ტენდენციების შედარების მიზნით, 2015 წელს, ფარმაცევტული კომპანია გილეადის მიერ ქვეყნისთვის უსასყიდლოდ გადმოცემული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების ღირებულება (1.2 მლრდ ლარი) ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

კერძო დანახარჯებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდიოდა ჯიბიდან გადახდებზე, საიდანაც მხოლოდ 7% იხარჯებოდა წინასწარ გადახდილი სადაზღვევო სქემების დასაფარად, დანარჩენი სამედიცინო მომსახურებისთვის პირდაპირი გადახდებისთვის იყო განკუთვნილი.

მნიშვნელოვნად შემცირდა ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში ჯიბიდან გადახდილი თანხების წილი: 73%-დან (2012) 55%-მდე (2017), რაც გამოწვეული იყო ძირითადად ჰოსპიტალიზაციაზე გაწეული ნაკლები დანახარჯებით, რაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების პირდაპირი შედეგია.

ცხრილი 3.16 დანახარჯები ჯანდაცვაზე, საქართველო

დანახარჯები ჯანდაცვაზე	2012	2013	2014	2015	2016	2017
მშპ, მლნ ლარი	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	34028.5	37846.6
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები, მლნ ლარი	2190.5	2254.3	2460.2	2518.7	2860.6	2877.6
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების წილი მშპ-დან	8.4%	8.5%	8.5%	8.5%	8.4%	7.6%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები, მლნ. ლარი	450.3	547.9	693.2	914.0	1063.7	1092.2
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან	20.6%	24.3%	28.2%	36.3%	37.2%	38.0%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-დან	1.7%	2.0%	2.4%	2.9%	3.1%	2.9%
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5.3%	6.3%	7.2%	8.6%	9.7%	10.0%
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯები, მლნ. ლარი	1689.7	1655.5	1720.4	1558.9	1750.5	1737.8
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან	77.1%	73.4%	69.9%	61.9%	61.2%	60.4%
ჯანდაცვაზე პირდაპირი, ჯიბიდან გადახდები, მლნ. ლარი	1608.8	1557.0	1623.4	1443.8	1591.0	1575.5
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება, მლნ ლარი	50.5	50.9	46.5	45.8	46.5	47.5
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარების წილი ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან	2.3%	2.3%	1.9%	1.8%	1.6%	1.7%
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	488	502	660	677	767	772
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	295	302	374	298	324	308
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	571	601	772	792	898	903
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	100	122	186	246	358	293
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	61	73	105	108	121	117
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	117	146	218	288	335	343
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, ლარი	376	369	462	419	470	466
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, აშშ დოლარი	228	222	261	185	198	186
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	440	441	540	490	549	545
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, ლარი	11	11	12	12	12	13
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, აშშ დოლარი	7	7	7	5	5	5
ჯანდაცვაზე საერთაშორისო დახმარება ერთ სულზე, საერთაშორისო დოლარი	13	14	15	14	15	15

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

თავი 4.

იმუნიზაცია




ჯანსაღი
და
აღიარებული



იმუნიზაცია

საქართველოს მთავრობის ხედვით იმუნიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წამყვან პრიორიტეტს, რასაც ნათლად ადასტურებს პროგრამაზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ზრდა, 2012 წელს იმუნიზაციის პროგრამაზე 4 მლნ ლარი იყო გამოყოფილი, ხოლო 2018 წელს - 22 400 მლნ ლარი (სურათი 4.1).

სურათი 4.1 იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი (ლარებში)



წყარო: დკსჯეც

საქართველოს მოსახლეობისთვის იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ყველა აცრა უფასოა. სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის იმუნიზაციისთვის ხდება მხოლოდ იმ ვაქცინების შეძენა, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკვალიფიკაცია, რაც მაღალი ხარისხისა და უსაფრთხოების გარანტიაა.

ამჟამად ქვეყანაში შემდეგი 12 ინფექციური დაავადების ვაქცინირება ტარდება: ტუბერკულოზი, ჰეპატიტი B, დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, წითელა, ყბაყურა, წითურა, Hib (ჰემოფილუს ინფლუენცა), Rota ვირუსი, პნევმოკოკური ინფექცია.

ბოლო წლებში იმუნიზაციის კალენდარში 5 ახალი ვაქცინა იყო დამატებული: 2013-ში Rota ვირუს ვაქცინა, PCV10 2014 წლის ბოლოს (GAVI-ის მხარდაჭერით), IPV (Penta ვაქცინა ჩანაცვლდა Hexavalent ვაქცინით) 2015 წ., 2016 წელს ბივალენტური პოლიოვაქცინის (bOPV) შემოღება. 2017 წლიდან საქართველოს 4 ტერიტორიულ რეგიონში (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი) დაიწყო HPV ვაქცინაცია, რომლის მიზანიც იყო 9 წლის ასაკის გოგონების მოცვა. 2019 წლის აგვისტოდან HPV ვაქცინაციით მოცული იქნებიან 10-11-12 წლის გოგონები. ვაქცინაციის კალენდარში შესული ყველა ვაქცინა მოსახლეობისთვის უფასოა. მაღალი ხარისხის და უსაფრთხო იმუნიზაციის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აწარმოებს მხოლოდ იმ ვაქცინების შესყიდვებს, რომლებიც დამტკიცებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.


იმუნიზაციის კალენდარი

ვაქცინა	დოზების რაოდენობა	ვაქცინაციის ჩატარების დრო
BCG	1	ახალშობილები 0-5 დღე
HepB	1	დაბადებიდან 0-12 საათში
Hib+DPaT+HepB+IPV	3	2, 3, 4 თვე
Polio (bOPV)	2	18 თვე, 5 წელი
DPT, DT, Td	3	18 თვე, 5 წ., 14 წ.
MMR	2	12 თვე, 5 წელი
Rota	2	2, 3 თვე
PCV	3	2, 3, 12 თვე

წყარო: დკსჯეც


2018 წელს მოცვის მაჩვენებლები სარწმუნოდ აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს, განსაკუთრებით Hep B0 (2017 წელს - 93,6%, 2018 წელს – 96.4%), MMR1 (2017 წელს - 95.5%, 2018 წელს – 98.7%), MMR2 (2017 წელს - 89.9%, 2018 წელს - 95.7%), Td (2017 წელს - 76.0%, 2018 წელს - 88.3%) (სურათი 4.2).

სურათი 4.2 იმუნიზაციით მოცვა (%), საქართველო, 2018



წყარო: დკსჯეც

სურათი 4.3 ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა (%)




წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

ცხრილი 4.1 მონაცემები პროფილაქტიკური აცრების შესახებ, საქართველო, 2018

ვაქცინა	ვაქცინაციის ასაკი კალენდრის მიხედვით	აცრილთა რაოდენობა კალენდრის მიხედვით	მოცვა (%)
ბცუ	0 – 5 დღე	47290	93,6
ჰეპატიტი ბ – 0	0 – 12 საათი	47891	94,8%
დტ+ჰიბ+ჰეპ ბ/ დტ+ჰიბ+ჰეპ ბ+იპვ/დტ – 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	48583	98,9%
დტ+ჰიბ+ჰეპ ბბ/ დტ+ჰიბ+ჰეპ ბ+იპვ/დტ – 3	4 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	45515	92,6%
დტ – 4	18 – 24 თვე	44547	92,2%
პოლიო – 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	48597	98,9%
პოლიო – 3	4 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	45520	92,6%
ოპვ – 4	18 – 24 თვე	45616	94,1%
ოპვ – 5	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	51327	93,4%
წწყ – 1	12 – 24 თვე	50302	98,7%
წწყ – 2	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	52576	95,7%
როტა-1	2 თვე	41589	84,6%
როტა-2	3 თვე	38578	78,5%
დტ	5 წლის – 5 წელი 11 თვე 29 დღე	50523	92,0%
პნევმოკოკური - 1	2 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	47505	96,7%
პნევმოკოკური - 2	3 თვიდან – 11 თვე 29 დღემდე	45892	93,4%
პნევმოკოკური - 3	12 – 15 თვე	41144	80,7%
ტდ	14 წლის	34052	88,4%

თავი 5.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა



კიბოს კოკლავაციური რეგისტრის
ოთხი წლის შედეგები

საპარტყველო
2015-2018




წითელას სიმპტომებია:

- ხველა
- გამონადენი ცხვირიდან (რინიტი)
- თვლების სიწითლე და ცრემლდენა
- გამონაყარი ჩნდება პირველი სიმპტომების დაწყებიდან 3-5 დღის შემდეგ

გადამდები ავადმყოფობები


2018 წელს საქართველოში აღინიშნება ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობებით ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების ერთგვარი მატება როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში (სურათი 5.1, სურათი 5.2).

სურათი 5.1 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც

სურათი 5.2 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები ბავშვებში (0-15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე), საქართველო



წყარო: დკსჯეც

ცხრილი 5.1 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო

	სულ		ბავშვები 0-15 წლამდე	
	რაოდენობა	ინციდენტობა	რაოდენობა	ინციდენტობა
2008	47124	1224.5	25120	3656.2
2009	63510	1665.0	34583	5054.9
2010	71642	1891.9	39265	5730.1
2011	64378	1713.8	34362	5025.7
2012	83014	2226.2	46129	6766.2
2013	104868	2820.8	57197	8369.6
2014	96151	2585.1	45123	6501.3
2015	109557	2940.9	60213	8468.6
2016	102159	2740.7	49916	6875.0
2017	89756	2407.6	45954	6219.1
2018	102424	2748.6	53089	7081.5

ინფექციური დაავადებებით ბავშვთა ჰოსპიტალიზაციის ძირითად მიზეზებს ნაწლავური ინფექციები წარმოადგენდა. კერძოდ, 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში ნაწლავური ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის წილი ინფექციურ დაავადებებში 54.6%-ს, ხოლო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში – 55.0%-ს შეადგენდა.

ცხრილი 5.2 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, სტაციონარული მომსახურება, საქართველო

	2017			2018		
	სტაციონარიდან გავიდა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %	სტაციონარიდან გავიდა	მათ შორის გარდაიცვალა	ლეტალობა %
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	24621	303	1.2	31152	344	1.1
<i>მათ შორის</i>						
ნაწლავური ინფექციები	11849	8	0.1	14075	19	0.1
რესპირაციული ტუბერკულოზი	1507	8	0.5	1563	23	1.5
მენინგოკოკური ინფექცია	19	2	10.5	15	2	13.3
სეპტიცემია	783	178	22.7	1093	181	16.6
ვირუსული ჰეპატიტი	1302	46	3.5	1870	57	3.0
ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა	750	23	3.1	900	29	3.2

ცხრილი 5.3 ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები, 0–15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება, საქართველო

	2017				2018			
	სტაციონარიდან გავიდა		მათ შორის 0-1 წლამდე		სტაციონარიდან გავიდა		მათ შორის 0-1 წლამდე	
	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა	სულ	ლეტალობა
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	13725	0.4	3053	1.8	16814	0.1	3635	0.2
<i>მათ შორის</i>								
ნაწლავური ინფექციები	7759	0.0	1973	0.1	9192	0.03	2024	0.0
რესპირაციული ტუბერკულოზი	64	0.0	3	0.0	61	0.0	2	0.0
მენინგოკოკური ინფექცია	19	10.5	4	25.0	12	8.3	5	0.0

ცხრილი 5.4 ზოგიერთი შეტყობინებას დაქვემდებარებული ავადმყოფობები, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო, 2018

	სულ		მ.შ. ბავშვები	
	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ბავშვზე
დიფთერია	0	0.0	0	0.0
ყივანახველა	558	15.0	485	64.7
ტეტანუსი	7	0.2	1	0.1
მწვავე დუნე დამბლა	7	0.2	7	0.9
წითელა	2199	59.0	828	110.4
წითურა	0	0.0	0	0.0
ყბაყურა	31	0.8	26	3.5
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	2	0.1	0	0.0
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	57	1.5	0	0.0
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	1546	41.5	0	0.0
ჰეპატიტი C	8571	230.0	17	2.3
სხვა ვირუსული ჰეპატიტები	48	1.3	2	0.3
სხვა სალმონელოზი	302	8.1	102	13.6
შიგელოზი	589	16.2	517	69.0
ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი	63	1.7	19	2.5
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	36826	988.2	14349	1914.0
ბოტულიზმი	14	0.4	0	0.0
სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები	18604	499.2	11963	1595.7
ტულარემია	0	0.0	0	0.0
ჯილეხი	25	0.7	1	0.1
ბრუცელოზი	175	4.7	24	3.2
ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)	400	10.7	81	10.8
პოქსვირუსებით გამოწვეული დაავადებები	34	0.9	1	0.1
Q ცხელება, პარტახტიანი ტიფი, ლაქოვანი ცხელება და სხვა რიკეტსიოზები	4	0.2	0	0.0
ცოფი	2	0.1	0	0.0
სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	13	0.3	1	0.1
ჰანტავირუსული ინფექცია	26	0.7	3	0.4
ყირიმ - კონგოს ჰემორაგიული ცხელება	12	0.3	0	0.0
ლეპტოსპიროზი	203	5.5	7	0.9
ქუნთრუშა	1979	53.1	1876	250.2
ჩუტყვავილა	10196	273.6	8774	1170.3
ვირუსული მენინგიტი	20	0.5	13	1.7
ბაქტერიული მენინგიტი	107	2.9	28	3.7
მენინგოკოკცემია	14	0.4	12	1.6
N. meningitidis გამოწვეული მენინგიტი	2	0.1	1	0.1
S.pneumoniae გამოწვეული ინფექცია	3	0.1	1	0.1
S. pneumoniae გამოწვეული მენინგიტი	6	0.2	4	0.5
M. tuberculosis გამოწვეული მენინგიტი	43	1.2	0	0.0
აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	12	0.3	7	0.9
საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	48	1.3	3	0.4
ნოზოკომიური პნევმონია	384	10.3	16	2.1
ნოზოკომიური ბაქტერიემია (სეფსისი)	36	1.0	13	1.7
ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	63	1.7	5	0.7
ლეიშმანიოზი	51	1.4	34	4.5
ექინოკოკოზი	71	1.9	4	0.5
მალარია (მალარიის 9 შემთხვევა იყო შემოტანილი)	0	0.0	0	0.0
ტრიქინელოზი	4	0.1	0	0.0
ამეზიაზი	56	1.5	14	1.9
ფასციოლოზი	16	0.4	2	0.3
სოკოთი მოშხამვა	90	2.4	16	2.1
შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	134	3.6	22	2.9

ფილტვის და ფილტვარეშე ტუბერკულოზი


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ისევე როგორც ადგილობრივი მონაცემების თანახმად, საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. 2018 წელს აღირიცხა ყველა ფორმის ტუბერკულოზის 2590 შემთხვევა, მათ შორის 2320 ახალი და რელაფს-შემთხვევა.

ცხრილი 5.5 ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები, საქართველო

	ტუბერკულოზის ყველა ფორმა				ფილტვის ტუბერკულოზი			
	ახალი შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები და რეციდივები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები და რეციდივები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
2008	4148	94.3	4318	98.2	2931	66.6	3195	72.6
2009	4457	101.0	4757	107.8	3174	72.0	3449	78.2
2010	4383	98.4	4679	105.1	3228	72.5	3519	79.0
2011	4223	94.2	4554	101.6	3167	70.6	3490	77.8
2012	3778	84.1	3942	87.8	2834	63.1	2995	66.7
2013	3133	69.8	3434	76.5	2412	53.8	2693	60.0
2014	2807	75.3	3200	85.9	2149	57.7	2496	67.0
2015	2622	70.5	3152	84.8	2006	54.0	2483	66.8
2016	2463	66.2	2983	80.2	1901	51.1	2371	63.7
2017	2164	58.0	2597	69.6	1687	45.3	2068	55.5
2018	1944	52.2	2320	62.3	1527	40.9	1863	50.0

ყველა ფორმის ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების მაჩვენებელმა 100000 მოსახლეზე 69.5 შეადგინა, მათ შორის ახალი და რელაფს-შემთხვევების მაჩვენებელმა - 62.3, რაც 10%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით (სურათი 5.3).

სურათი 5.3 ტუბერკულოზით ავადობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: დკსჯეც; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

ცხრილი 5.6 ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო

	ტუბერკულოზის ყველა ფორმა		მშ ფილტვის ტუბერკულოზი	
	რეგისტრირებული შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რეგისტრირებული შემთხვევები	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
2008	5836	132,7	4471	116.2
2009	5978	135,5	4587	120.3
2010	5796	130,2	4524	119.5
2011	5533	123,4	4369	116.3
2012	4974	110,8	3905	104.7
2013	4319	96,2	3502	94.2
2014	3850	103.3	3094	83.2
2015	3611	97,1	2916	78.3
2016	3330	89.5	2709	72.7
2017	2927	78.5	2373	63.7
2018	2590	69.5	2118	56.8


ცხრილი 5.7 ფილტვარეშე ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო

	2015		2016		2017		2018	
	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე
ფილტვარეშე ტუბერკულოზის შემთხვევები	694	18.7	620	16.7	551	14.7	472	12.7
ტვინის გარეშის ტუბერკულოზი	50	1.3	61	1.6	49	1.3	45	1.2
ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი	118	3.2	105	2.8	99	2.7	71	1.9
უროგენიტალური ტუბერკულოზი	102	2.7	75	2.0	49	1.3	63	1.7
ტუბერკულოზური პლევრიტი	233	6.3	182	4.9	169	4.5	163	4.4
ლიმფური კვანძების და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი	191	5.1	197	5.3	185	4.9	130	1.4

ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებისა და რეციდივების 2.0% დაფიქსირებულია პენიტენციურ სისტემაში (2017 წელს - 2.8%). 2018 წელს ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 78,6% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა.

ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების მიუხედავად, საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს (სურათი 5.4).


სურათი 5.4 ტუბერკულოზის ინციდენტობა, ჯანმო-ს შეფასება



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ვამინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასებების ინსტიტუტის პროგნოზული გათვლებით, საქართველოში მოსალოდნელია ტუბერკულოზით ავადობის კლების ტენდენცია (სურათი 5.5).

სურათი 5.5 ტუბერკულოზის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

საქართველოში 2005 წელს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი ბაქტერიაგამომყოფი ფორმების წარმატებული მკურნალობის მაჩვენებელი მხოლოდ 64.1%-ს შეადგენდა, 2014 და 2015 წლის კოჰორტის მაჩვენებლები 81%-ს, ხოლო 2017 წელს - 85%-ს (2016 წლის კოჰორტა) გაუტოლდა. 2018 წლის (2017 წლის კოჰორტა) წინასწარი მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი 82%-ია, დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლის დასაწყისში.

ცხრილი 5.8 12 თვის წინ რეგისტრირებული ფილტვის ახალი მგბ+ ტუბერკულოზის მკურნალობის შედეგები, საქართველო

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა	2143	2028	1647	1332	1003	782	725	604
მათ შორის %								
განკურნება	67.0	68.3	65.6	64.1	73.0	77.1	77.3	77
დასრულებული მკურნალობა	9.5	7.7	8.8	7.1	7.9	6.0	6.6	5
უშედეგო მკურნალობა	1.9	3.1	4.3	3.8	4.6	4.6	3.7	6
გარდაიცვალა	2.9	2.3	2.0	3.2	4.2	4.3	3.4	4
შეწყვეტილი მკურნალობა	6.7	5.1	5.5	6.6	7.7	6.5	6.7	5
შეუფასებელი შემთხვევები	1.4	1.2	2.3	2.9	2.7	1.4	2.0	3

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) 10%-ში ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზი აღინიშნება (XDR-TB), რასაც ჩვენს ქვეყანაში ზრდის ტენდენცია აქვს. 2017 წლის მონაცემებით ის 15%-ს, ხოლო 2018 წელს – 18%-ს შეადგენდა.

აივ ინფექციის მქონე პაციენტთა წილი MDR შემთხვევების 7%-ს შეადგენს. 2018 წელს RR/MDR ტუბერკულოზის ახალი და ნამკურნალები შემთხვევების ხვედრითი წილი ტუბერკულოზის საერთო შემთხვევებში 10.4% და 23.0% იყო.

ქვეყანაში I და II რიგის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია. ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკამენტები (დელამანიდი და ბედაქილინი) ხელმისაწვდომია ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს ტუბერკულოზი, როგორც სიკვდილის პირველადი მიზეზი, აღირიცხა 92 შემთხვევაში, ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2.5 იყო (2017 წ. - 1.9).

აივ-შიდსი

საქართველო აივ ინფექცია/შიდსის ზოგად მოსახლეობაში გავრცელების თვალსაზრისით დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა მაღალი რისკის ჯგუფში (მსმ) აივ ინფექციას აქვს კონცენტრირებული გავრცელების სახე. უკანასკნელ წლებში საქართველოში აივ-ინფექციის ინციდენტობის მაჩვენებელი მზარდი დინამიკით ხასიათდება. 2018 წელს საქართველოში აღირიცხა აივ-ის 672 ახალი შემთხვევა (მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე – 18.0), რაც წინა წელთან შედარებით 6.5%-იან ზრდაზე მიუთითებს.

გლობალური ფონდის აივ/შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2018 წელს სულ ჩატარებულ იქნა 188 142 ტესტი (2017 წ. – 77 800 ტესტი), მათ შორის 3 315 ტესტი ჩატარდათ ბავშვებს.

სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, უსაფრთხო სისხლის და აივ-ინფექცია შიდსის პროგრამები) ბოლო წლებში მიმდინარეობდა ორსულთა, დონორთა, მაღალი ქცევითი რისკისა და სხვა ჯგუფების, მ.შ. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ბრალდებულების/მსჯავრდებულების ნებაყოფლობითი შემოწმება აივ/შიდსზე.


გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში კი მაღალი ქვევითი რისკის ჯგუფების წარმომადგენლებს (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, კომერციული სექს მუშაკი-ქალები, მამაკაცთან სექსის მქონე კაცები) მიეწოდებოდა აივ პრევენციული პაკეტით განსაზღვრული მომსახურებები, მათ შორის აივ ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება.

გაეროს 90-90-90 სამიზნეებთან (აივ ინფიცირებულთა 90%-მა იცის საკუთარი ინფიცირების შესახებ; აივ ინფიცირებულთა 90% იღებს არვ მკურნალობას; მკურნალობაზე მყოფ აივ ინფიცირებულთა 90%-ში მიღწეულია აივ სუპრესია - სისხლში აივ ვირუსის ნულოვანი დონის შენარჩუნება) მიმართებაში ქვეყანას მნიშვნელოვანი პოზიციები აქვს მეორე და მესამე სამიზნეზე, თუმცა ჩამორჩება პირველ 90-თან დაკავშირებით. კერძოდ, 2018 წელს აივ ახალი შემთხვევების 40.6% დიაგნოსტირებულია შიდსის სტადიაზე.

რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, საქართველოში მაღალია გაეროს მეორე და მესამე 90 სამიზნეების შესრულება - ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში აივ ინფიცირებულთა ჩართვისა და ვირუსული სუპრესიის მიღწევის მაჩვენებლები.


სახელმწიფო და გლობალური ფონდის დაფინანსებით უზრუნველყოფილია შიდსით დაავადებულთა უნივერსალური ხელმისაწვდომობა (აფხაზეთის მოსახლეობის ჩათვლით) ანტირეტროვირუსულ პრეპარატებზე.

საქართველოს ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამა აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესოდ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. პროგრამა ხასიათდება მაღალი მოცვით, მდგრადობით, მიწოდებული სერვისების მაღალი ხარისხით ქვეყნის მასშტაბით. საქართველომ რეგიონში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა „მკურნალობა ყველასათვის“ სტრატეგია, რაც აივ/შიდს-ით დაავადებულებში მკურნალობის დაწყებას გულისხმობს CD4 უჯრედების რაოდენობის მიუხედავად, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მკურნალობის გამოსავალს და ხელს უწყობს ქვეყანაში აივ/შიდსის გავრცელების ტემპის შეჩერებას (სურათი 5.6, სურათი 5.7, სურათი 5.8).



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

სურათი 5.7 აივ ინფექციის ინციდენტობა 1000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

ცხრილი 5.9 აივ ინფექციის ახალი შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, საქართველო

გადაცემის გზა	2017	2018
ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	23.5	16.2
ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	54.0	62.8
ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტი	20.6	19.5
ვერტიკალური გადაცემა (დედიდან შვილზე)	0.5	0.00
სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა	0.8	0.9
დაუდგენელი	0.6	0.6

წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრი

სურათი 5.8 აივ ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით



წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრი

ცხრილი 5.10 აივ/შიდსის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო

	1990	2000	2010	2015	2016	2017	2018
სულ	0	2.0	6.7	15.1	19.3	16.9	18.0
მათ შორის 15-24 წლის მოსახლეობა	0	1.6	2.8	9.1	14.5	14.1	25.4

ცხრილი 5.11 აივ-ინფექციის ახლად გამოვლენილი შემთხვევები სქესის მიხედვით, საქართველო

	2016		2017		2018	
	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	სულ	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
კაცი	558	31.3	499	27.9	513	28.6
ქალი	161	8.3	132	6.8	159	8.2
ორივე სქესი	719	19.3	631	16.9	672	18.0

ცხრილი 5.12 აივ-ინფექციის ახალი შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების მიხედვით, საქართველო

	2016		2017		2018	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ნარკოტიკების ინექციური მომხმარება	218	30.3	148	23.5	109	16.2
ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კონტაქტები	370	51.5	341	54.0	422	62.8
ჰომოსექსუალური სქესობრივი კონტაქტები	121	16.8	130	20.6	131	19.5
სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმა	2	0.3	5	0.8	0	0.00
ვერტიკალური გადაცემა	4	0.6	3	0.5	6	0.9
დაუდგენელი	4	0.6	4	0.6	4	0.6
სულ	719	100.0	631	100.0	672	100.0

ცხრილი 5.13 შიდსით დაავადებულებში ლეტალობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით, საქართველო

	2016		2017		2018	
	გარდაიცვალა	%	გარდაიცვალა	%	გარდაიცვალა	%
აივ-თან დაკავშირებული	81	63.3	77	55.4	74	54.8
დაუკავშირებელი	37	28.9	25	18.0	33	24.4
უცნობი	10	7.8	37	26.6	28	20.7
სულ	128	100.0	139	100.0	135	100.0

2018 წელს გაგრძელდა 2017 წელს დაწყებული აივ ექსპოზიციამდე არც პროფილაქტიკური მკურნალობის პილოტური პროგრამა (PrEP) მსმ პოპულაციის წარმომადგენლებისთვის, რაც შესაძლებლობას იძლევა არც პროფილაქტიკური მკურნალობის ფონზე თავიდან ავიცილოთ მაღალი რისკის მქონე პირების აივ ინფიცირება. დაგეგმილია პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და მასში სხვა მაღალი რისკის პოპულაციების ჩართვა.

ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების მქონე ქვეყნებს შორისაა. თუმცა აღნიშნულის მიზეზი საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. უახლესი პოპულაციური სეროპრევალენტობის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების მაჩვენებელი 7,7%-ია, აქტიური დაავადება კი 5,4%-ს აქვს. აღნიშნული კვლევა ჩატარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (დკსჯეც) და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ, 2015 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი


- საქართველოს მთავრობამ, CDC-ისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, გამოავლინა ძლიერი პოლიტიკური ნება C ჰეპატიტთან საბრძოლველად. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა 2015 წელს.
- უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ არსებითად გააძლიერა ძალისხმევა C ჰეპატიტის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისეთი ეროვნული პროგრამების დანერგვით, როგორცაა აივ/HCV კოინფექციის მქონე პაციენტებში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობა (2011 წლიდან გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის ფარგლებში); სასჯელადსრულების სისტემაში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობა; ზოგადი მოსახლეობისთვის პეგილირებული ინტერფერონისა და რიბავირინის კომბინაციაზე 60%-იანი ფასდათმობა.
- 2014 წლის თებერვალში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში C ჰეპატიტზე რეაგირების გაძლიერების ინიციატივას.
- 2014 წელს საქართველოს მთავრობამ წამოიწყო მოლაპარაკება ფარმაცევტულ კომპანია „გილევადთან“, რომელიც გლობალური ლიდერია პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატების (მათ შორის სოფოსბუვირისა და ლედიპასვირი/სოფოსბუვირის ფიქსირებულდოზიანი კომბინაციის) კვლევასა და წარმოებაში.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შედგა სპეციალური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესის კოორდინირებას. გარდა ამისა, შემუშავდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სამოქმედო გეგმის მოკლევადიანი/გადაუდებელი ღონისძიებების ეროვნული პროგრამა. C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი პროგრესის მეთვალყურეობის მიზნით შეიქმნა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი.
- 2015 წლის 21 აპრილს მომზადდა და ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს საქართველოს მთავრობასა და ფარმაცევტულ კომპანია „გილევადს“ შორის.
- CDC-თან ერთად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებზე დაყრდნობით შემუშავდა ელიმინაციის სტრატეგიული გეგმა 2016-2020, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 18 აგვისტოს დაამტკიცა. სტრატეგია ითვალისწინებს 2020 წლისთვის დასახულ შემდეგ სამიზნეებს:
 - ✓ HCV ინფიცირებულ პირთა 90%-ის გამოვლენა.
 - ✓ გამოვლენილთა 95%-ის მკურნალობაში ჩართვა მკურნალობაზე მყოფთა 95%-ის განკურნება.
- 2016 წელს შეიქმნა C ჰეპატიტის კლინიკური და სამეცნიერო კომიტეტი. კლინიკური კომისიის მიერ შემუშავდა C ჰეპატიტის კლინიკური მართვის ეროვნული გაიდლაინი. 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, სამეცნიერო კომიტეტმა განიხილა 46 და დაამტკიცა 38 კვლევა. კლინიკური კომიტეტის მიერ, WHO, EASL და AASLD-ის

გაიდლაინების საფუძველზე, შემუშავდა HCV-ის მკურნალობის ქართული პროტოკოლი და გაიდლაინები. ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალის (BMJ) ქართულ პორტალზე ხელმისაწვდომია HCV-ის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მსოფლიო საუკეთესო გამოცდილება.

- საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი ყოველწლიურად საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების განხილვის თემაა ევროპის ღვიძლის შემსწავლელი ასოციაციის (EASL) კონგრესზე. ამავე თემას ეძღვნება საქართველოში ტრადიციად ქცეული C ჰეპატიტის ელიმინაციის სამუშაო შეხვედრა, რომელიც იმართება ყოველ გაზაფხულზე. 2016 წლიდან, ყოველი წლის ბოლოს ტარდება საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარი ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანია არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შეჯამება და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავება.
- 2017 წლის 1 ნოემბერს, ბრაზილიაში, ჰეპატიტების მსოფლიო სამიტზე, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროცესში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს მიენიჭა „NOhep Visionary“-ს საპატიო სტატუსი. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ელიმინაციის პროგრამის მიღწევებს და საქართველო დასახელდა სანიმუშო და მისაბამ მაგალითად სხვა ქვეყნებისთვის.
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით დაარსდა „C ჰეპატიტისგან განკურნებულ პაციენტთა ასოციაცია“, რომლის მიზანია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის წარმატებული განხორციელების ხელშეწყობა, მოსახლეობაში ვირუსული ჰეპატიტების ირგვლივ ცნობიერების ამაღლება, ჰეპატიტთან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირება.
- C ჰეპატიტის სკრინინგის შესახებ არსებული მონაცემების თავმოყრის მიზნით შეიქმნა ელექტრონული მოდული, რომელშიც ინფორმაციას არეგისტრირებს C ჰეპატიტის სკრინინგის მიმწოდებელი ნებისმიერი დაწესებულება. იდენტიფიკატორად გამოყენებულია მოქალაქის პირადი ნომერი, რაც იძლევა კავშირის დამყარების საშუალებას სხვა ბაზებთან, როგორებიცაა HCV მკურნალობის ელექტრონული ბაზა, სისხლის დონორთა ელექტრონული მოდული, ჰოსპიტალიზაციის ელექტრონული მოდული და დაბადების რეგისტრი
- ქვეყანაში მიმდინარე ელიმინაციის პროგრამის პროგრესის განხილვას, ტრადიციულად, მიემდგვნა სპეციალური სესია EASL ღვიძლის საერთაშორისო კონგრესზე პარიზში
- 2019 წლის 11-13 თებერვალს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ თბილისში ჩაატარა პირველი რეგიონული საკონსულტაციო შეხვედრა ვირუსულ ჰეპატიტებზე ჯანმოს ევროპის რეგიონში - "მიღწევები ელიმინაციის გზაზე", რომელიც მიემდგვნა ვირუსული ჰეპატიტების გავრცელების დაძლევის პროცესში ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესისა და გამოწვევების გადახედვასა და გამოცდილების გაზიარებას.
- 2019 წლის საერთაშორისო ღვიძლის კონგრესზე საქართველოს გადაეცა მსოფლიოში პირველი „ჰეპატიტთან ბრძოლის სანიმუშო ქვეყნის“ სტატუსი.


2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მოდულში რეგისტრირებულია 2.8 მილიონზე მეტი სკრინინგი, მათ შორის, ტესტირებულ პირთა რაოდენობა 1.7 მილიონზე მეტია, ხოლო დადებითობის მაჩვენებელი 7.82%-ია (სურათი 5.9, 5.10).

სურათი 5.9 სკრინინგით გამოკვლეულ პირთა რაოდენობა და გამოვლენის მაჩვენებელი სქესის მიხედვით



წყარო: დკსჯეც

სურათი 5.10 სკრინინგით გამოკვლეულ პირთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენის მაჩვენებელი



წყარო: დკსჯეც

ქვეყნის მასშტაბით 42 ცენტრი (მ.შ. ერთი – პენიტენციურ სისტემაში) ელიმინაციის პროგრამის ბენეფიციარებს სთავაზობს HCV დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებს. პროგრამის დაწყებიდან (2015 წლის აპრილი) 2019 წლის 30 ივნისამდე, 52053-მა პაციენტმა დაასრულა მკურნალობა. განკურნების მაჩვენებელი 98.1%-ს შეადგენს.


წითელა

საქართველოში წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში წითელათი ავადობის მნიშვნელოვანი მატება 2004 და 2013 წლებში დაფიქსირდა. 2013 წლის პიკი განპირობებულია 2008 წელს იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარუმატებლობით. აღნიშნულმა ხელი შეუწყო მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვებას, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა. ავადობის ტვირთი, ძირითადად, 1 წლამდე და 15-30 წლის ასაკის მოსახლეობაში დაფიქსირდა.

2013 წლიდან, ეპიდემიის გავრცელების შეკავების მიზნით, განხორციელდა დამატებითი კამპანიური ღონისძიებები: 14 წლამდე ასაკის ბავშვთათვის წითელას საწინააღმდეგო აცრების კურსის დასრულება და დამატებითი აცრის ჩატარება 15-30 წლის ასაკის მოსახლეობის, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტისთვის. 2013-2015 წლებში წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზა დაახლოებით 150 000 მოქალაქემ მიიღო. შედეგად, ქვეყანაში წითელათი ავადობამ მნიშვნელოვნად იკლო - 2015 წელს აღრიცხული იყო წითელას 431 შემთხვევა, 2016 წელს - 14 შემთხვევა. 2017 წელს წითელას შემთხვევათა რიცხვმა მოიმატა (94 შემთხვევა).

2018 წელს შემთხვევების (2017 წ.- 94; 2018 წ.- 2199) და, შესაბამისად, ინციდენტობის მნიშვნელოვანი ზრდა (2017 წ.-1.68,2018 წ.-59.01) დაფიქსირდა (სურათი 5.11).

სურათი 5.11 წითელა, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე




წყარო: დეკჯეც

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

2014 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების აფეთქებას. მთლიან მოსახლეობაში აღირიცხა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 24 შემთხვევა (ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 0.64). გარდაიცვალა 4 ადამიანი (ლეტალობის მაჩვენებელი - 16.6). 2016 წელს ზედამხედველობა დამყარდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 41 საექვო შემთხვევაზე, მ.შ. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების დიაგნოზი დადასტურდა 6 შემთხვევაში, რომელთაგან 2

დასრულდა ლეტალურად (ორივე ახალი კერა - ამბროლაური და თერჯოლა). 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია - აღირიცხა 5 შემთხვევა. 2018 წელს ყირიმ-კონგოს 12 შემთხვევა აღირიცხა (სურათი 5.12).

სურათი 5.12 ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, საქართველო




წყარო: დესჯეც

ცოფი

ათი წლის განმავლობაში (1997-2006) საქართველოში რეგისტრირებული იყო ცოფის 96 შემთხვევა, ხოლო მომდევნო წლებში (2007-2014) - 42. ადამიანებში ცოფით დაინფიცირების მაქსიმალური რიცხვი - 21 შემთხვევა - დაფიქსირდა 1996 წელს.

ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა წელიწადში დაახლოებით 35000–49000 ადამიანს უტარდება. ანტირაბიული ვაქცინებითა და შრატით (იმუნოგლობულინი) უწყვეტი მომარაგების ფონზე, 2015 წელს პირველად იქნა მიღწეული ადამიანთა ცოფით დაავადების ნულოვანი მაჩვენებელი, რომელიც 2016-2017 წლებშიც იქნა შენარჩუნებული. 2018 წელს, სამი წლის ნულოვანი მაჩვენებლის შემდეგ, ცოფის 2 შემთხვევა დაფიქსირდა (სურათი 5.13).

სურათი 5.13 ცოვის შემთხვევების რაოდენობა, საქართველო




წყარო: დეკჯეც

მალარია

2002 წლიდან მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი მკვეთრი შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა და 2013-2014 წლებში იგი ნულს გაუტოლდა. 2018 წელს ზედამხედველობა დამყარდა 11 საექვო შემთხვევაზე, რომელთაგან მალარია დადასტურდა 9 შემთხვევაში (ყველა შემოტანილი). დადასტურებულ შემთხვევებში 3 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე და 6 საქართველოს მოქალაქე, რომლებიც მუშაობდნენ საზღვარგარეთ.

2018 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროებმა ერთობლივად განახორციელეს 9 261 030 მ² გარე და შიდა ტერიტორიების ვექტორ კონტროლი (2016 წელს - 7 500 000 მ², 2017 – 9 000 000 მ²) (სურათი 5.14).

სურათი 5.14 მალარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე



წყარო: დეკჯეც

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

ბოლო წლებში საქართველოში აღინიშნება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემთხვევათა რაოდენობის მატება. შემთხვევათა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევა ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი და სიფილისი, რომელთაც მოყვება გენიტალური ჰერპესი და გონორეა.

ცხრილი 5.14 სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ახალი შემთხვევები, საქართველო

	2016		2017		2018	
	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
სიფილისი	1349	36.3	1244	33.4	1243	33.4
გონოკოკური ინფექცია	923	24.8	798	21.4	765	20.5
ქლამიდიური ინფექცია	2507	67.4	2446	65.6	2084	55.9
ტრიქომონიაზი	6880	185.0	5933	159.1	5137	137.8

ცხრილი 5.15 სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, ახალი შემთხვევების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2018

	სქესი	ასაკობრივი ჯგუფები											
		სულ		0 - 14		15 - 19		20 - 29		30 - 39		40 და მეტი	
		შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა
სიფილისი, ყველა ფორმა	მ	773	43.2	0	0	18	16.4	239	95.0	251	95.9	265	34.1
	ქ	470	24.3	2	1.5	5	5.1	109	45.6	174	66.2	180	18.4
გონოკოკური ინფექცია	მ	580	32.4	0	0	37	33.7	361	143.5	137	52.4	45	5.8
	ქ	185	9.6	0	0	1	1.0	88	36.8	66	25.1	30	3.1
ქლამიდიური ინფექცია	მ	614	34.3	0	0	29	26.4	279	110.9	226	86.4	80	10.3
	ქ	1470	76.0	0	0	57	58.5	765	320.2	501	190.6	147	15.0
ტრიქომონიაზი	მ	1207	67.4	1	0.7	28	25.5	588	233.7	392	149.8	198	25.5
	ქ	3930	20.3	46	34.1	221	226.9	1906	797.8	1162	442.0	595	60.8

არაგადამდები ავადმყოფობები

საქართველოში არაგადამდებ დაავადებებზე დაავადებათა ტვირთის უდიდესი ნაწილი მოდის და დიდ გავლენას ახდენს სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიულ წლებზე. არაგადამდები დაავადებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჯანმრთელობაზე, არამედ ქვეყნის მდგრად განვითარებაზეც.

არაგადამდებ დაავადებათა ეფექტური პრევენციისა და კონტროლისათვის აუცილებელია ზუსტი და სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის ინდიკატორების მონიტორინგი და განსაზღვრა, ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება.

არაგადამდებ დაავადებათა ეფექტური კონტროლის მიზნით საქართველომ დანერგა ჯანმო-ს STEPS მეთოდოლოგია; 2010 და 2016 წლებში ჯანმოს ეროვნული და ჯანმოს სათავო ოფისების ტექნიკური და ფინანსური დახმარებით ჩატარდა STEPS კვლევა, რამაც მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა მონაცემები შეგვედარებინა არა მხოლოდ სხვა ქვეყნების მონაცემებთან, არამედ მოგვეხდინა საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა და მათი რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და შეფასება. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია მდგრადი საზედამხედველო სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით, რამაც გააუმჯობესა ეროვნულ დონეზე არსებული შესაძლებლობები და მოგვცა ჯანმრთელობის შესახებ უკეთესი მონაცემები და უკეთესი შესაძლებლობები არაგადამდები დაავადებების ეფექტური პრევენციისა და კონტროლის და ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.


2017 წლიდან ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ვრცელდება შემდეგ დაავადებებზე: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; ფილტვის ქრონიკული დაავადებები; დიაბეტი (ტიპი II); ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება.

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების წილი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა დაავადების 15.3%-ს, ხოლო ახალი შემთხვევების 7.4%-ს შეადგენს. ავადმყოფობათა ამ ჯგუფში მაღალი ავადობით და სიკვდილიანობით ხასიათდება ჰიპერტენზიული, იშემიური და ცერებროვასკულური ავადმყოფობები.

2000-2018 წლებში საქართველოში აღინიშნება სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდის ტენდენცია (სურათი 5.15, სურათი 5.16).

სურათი 5.15 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე




წყარო: დკსჯეც; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ცხრილი 5.16 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების გავრცელება, საქართველო

წელი	სულ				ბავშვები 0-15 წლამდე			
	წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
2008	306573	7966.1	74379	1932.7	5102	742.6	1250	181.9
2009	326421	8557.6	96038	2517.8	4775	697.9	1359	198.6
2010	337651	8916.8	98193	2593.1	4672	681.8	1103	161.0
2011	363488	9676.4	103466	2754.4	4176	610.8	749	109.5
2012	355657	9537.9	133411	3577.8	4044	593.2	823	120.7
2013	425232	11438.1	196348	5281.5	2347	343.4	1739	254.5
2014	409817	11018.3	165398	4446.9	1789	257.8	2069	298.1
2015	425105	11411.4	174735	4690.5	2793	392.8	3581	503.6
2016	447713	12011.1	190994	5123.9	1815	250.0	1731	238.4
2017	429932	10950.6	184729	4955.2	879	119.0	1555	210.4
2018	408233	10954.7	147979	3970.9	993	133.0	2077	277.0

სურათი 5.16 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურა (%), საქართველო, 2018



წყარო: დკსჯეც

ცხრილი 5.17 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურა, საქართველო, 2018

	რეგისტრირებულია წლის ბოლოს				ახალი შემთხვევები			
	სულ		მშ ბავშვები		სულ		მშ ბავშვები	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	408233	100	993	100	147979	100	2077	100
<i>მათ შორის:</i>								
მწვავე რევმატული ცხელება	1870	0.5	91	9.2	3447	2.3	335	16.1
SDG 3.7 მიზნით განისაზღვრა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და, მათ შორის, ანტენატალური სერვისებისადმი უნივერსალური ხელმისაწვდომობა.


ცხრილი 6.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაჩვენებლები, საქართველო

	2017	2018
ანტენატალური მომსახურებისთვის დროული მიმართვა	84.7%	86.8%
ანტენატალური 4 სრული ვიზიტით მოცვა	76.3%	80.8%
მშობიარობათა რაოდენობა	52660	50468
დროულად იმშობიარა	86.8%	92.1%
ფიზიოლოგიური მშობიარობა	52.4%	55.4%
მშობიარობა ჩარევით (საკეირო კვეთა, მაშებიტა და ვაკუუმ-ექსტრაქციით მშობიარობა და სხვა)	47.6%	44.6%
შობადობის მაჩვენებელი 20 წლამდე ასაკის 1000 ქალზე	36.2	24.2
კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი	99.9%	99.9%

წყარო: დეკჯეც

2018 წლის განმავლობაში ქალთა კონსულტაციებში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 64845 ორსული. უკანასკნელ წლებში, ანტენატალურ სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდამ ორსულთა დროული მიმართვიანობის (ორსულობის 12 კვირის ვადამდე) მატება განაპირობა (სურათი 6.1).

სურათი 6.1 ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი (%)




წყარო: დეკჯეც

ორსულების 88.1% გამოკვლეულ იქნა C ვირუსულ ჰეპატიტზე, 90.0% - სიფილისზე, 87.8% - აივ-ინფექციაზე, და 88.2% - B ვირუსულ ჰეპატიტზე.

აბორტი

2018 წელს ქვეყანაში რეგისტრირებულია 22733 აბორტი, მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 444.5 (სურათი 6.2), მათ შორის ხელოვნური აბორტების წილი 61.9% უდრიდა. წინა წელთან შედარებით, აბორტების საერთო რიცხვი 9%-ით შემცირდა (სურათი 6.2).

სურათი 6.2 აბორტები, მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: დკსჯეც; ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ცხრილი 6.3 აბორტები, საქართველო

	ცოცხალშობილთა რაოდენობა	აბორტები		აბორტების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე
		სულ	მ.შ. მინი აბორტი	
2008	52 442	22062	7662	420.7
2009	56 568	24310	8361	429.7
2010	55 230	25585	10621	463.2
2011	51 565	31185	13208	604.8
2012	49 969	39225	15941	785.0
2013	49 657	37018	15291	745.5
2014	60 635	33464	13071	551.9
2015	59 249	32428	9194	547.3
2016	56 569	28720	8881	507.7
2017	53 293	24937	6679	467.9
2018	51 138	22733	8297	444.5


მნიშვნელოვანია, რომ აბორტების წილი 20 წლამდე ასაკის ქალებში შემცირდა და აბორტების საერთო რაოდენობის 2.2% შეადგინა.

ცხრილი 6.4 აბორტები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2018

	სულ	მათ შორის ასაკობრივ ჯგუფში						
		< 15	15-19	20-29	30-34	35-39	40-44	≥ 45
აბორტების რაოდენობა	22733	0	510	9733	6114	4304	1889	183
მაჩვენებელი შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე	27.0	0.0	5.2	40.7	45.0	33.9	15.5	1.5
<i>მათ შორის (რაოდენობა):</i>								
თვითნებური	22733	0	510	9733	6114	4304	1889	183
ხელოვნური:	14066	0	249	6022	3856	2707	1155	77
12 კვირამდე	8667	0	261	3711	2258	1597	734	106
მ.შ. მინი-აბორტი (5 კვირამდე)	13612	0	232	5813	3746	2622	1123	76
12-22 კვირამდე (სამედიცინო ან სოციალური ჩვენებით)	2211	0	37	922	587	461	189	15
აბორტები პირველი ორსულობის დროს	446	0	17	207	107	83	31	1

ხელოვნური აბორტების ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) სტაბილურად იკლებს (სურათი 6.3). ხელოვნური აბორტების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 20-29 და 30-34 წლის ქალების ასაკობრივ ჯგუფში.

სურათი 6.3 ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR), საქართველო



წყარო: დეკჯეც

ხელოვნური აბორტის მეთოდის მიხედვით 2018 წელს მედიკამენტური აბორტების წილი გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.


ცხრილი 6.5 ორსულობის შეწყვეტის მეთოდები, საქართველო

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
აბორტების საერთო რაოდენობა	39225	37018	33464	32428	28720	24937	22733
<i>ორსულობის შეწყვეტის მეთოდი (%):</i>							
გამოფხეკვა (კიურეტაჟი)	49.2	41.3	37.9	41.2	41.6	22.8	21.5
ვაკუუმ ასპირაცია	40.6	41.3	39.1	28.3	30.9	40.4	36.4
მედიკამენტური აბორტი	10.2	17.4	23.0	30.5	27.5	36.8	38.9

მშობიარობა

სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებით, 2018 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია 50468 მშობიარობა. უკანასკნელ წლებში სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი უცვლელად მაქსიმალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს (სურათი 6.4).


სურათი 6.4 კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების ხვედრითი წილი (%), საქართველო



წყარო: დეკჯეც

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს 20 წლამდე ასაკის ქალების შობადობის მაჩვენებელი შემცირდა და 24.2 შეადგინა (2017 წელს - 36.2) (სურათი 6.5).

სურათი 6.5 მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები (15-19 წლის 1000 ქალზე)



წყარო: დეკჯეც

წყარო: <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

ცხრილი 6.6 მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი, საქართველო

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	48.0	56.1	52.2	47.1	43.0	42.2	51.5	48.4	43.4	36.2	32.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს, მშობიარობების და მშობიარობისშემდგომი გართულებების შორის, 19.6% უკავია დიაგნოზს „გარსების ნაადრევი დარღვევა“, 13.4% - “მენჯის ღრუს ორგანოების დადგენილი ან სავარაუდო ანომალიები”. დიაგნოზებზე „სისხლდენები განვითარებული მშობიარობისთანავე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში“, „ეკლამპსია და პრეეკლამპსია“ და „მელოგინეთა სეფსისი“ შესაბამისად 2.5%, 2.4% და 0.2% მოდის.

გაერო-ს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სააგენტოს მსოფლიოს მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ 2019 წლის ანგარიშში მოცემულია საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ზოგიერთი ინდიკატორი:


რეპროდუქციული ჯანმრთელობა	დედათა სიკვდილიანობა (100 000 ცოცხალშობილზე), 2015	36	
	დედათა სიკვდილიანობის სარწმუნოების მინიმუმი	28	
	ინტერვალი (UI 80%), 2015 შეფასებითი მაქსიმუმი	47	
	კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი (%), 2006-2017	100	
	მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი 15-19 წლამდე ასაკის 1000 გოგონაზე, 2006-2017	44	
	კონტრაცეპციის გავრცელება რეპროდუქციული ასაკის (15-49) ქალებში, 2019	ნებისმიერი მეთოდი თანამედროვე მეთოდი	55 41
	ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, რეპროდუქციული ასაკის (15-49) ქალებში, 2019	15	
	თანამედროვე მეთოდების მომხმარებელთა % რეპროდუქციული ასაკის (15-49) ქალებში, 2019	58	

წყარო: https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_PUB_2019_EN_State_of_World_Population.pdf

საკეისრო კვეთა

საქართველოში საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობების წილი 2000 წლიდან 4.3-ჯერ გაიზარდა და 2017 წელს მშობიარობათა საერთო რაოდენობის 44.7% შეადგინა. 2018 წელს ჩატარებული საკეისრო კვეთების პროცენტი შემცირდა და 41.6%-ს გაუტოლდა (სურათი 6.6).

სურათი 6.6 საკეისრო კვეთა, მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: დკსჯეც, ჯანმრთელობის მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

ცხრილი 6.7 საკეისრო კვეთების რაოდენობა და სტრუქტურა, საქართველო

	2017			2018		
	სულ	მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	% საერთო რაოდენობიდან	სულ	მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	% საერთო რაოდენობიდან
სულ	23471	440.4	100%	21044	411.5	100%
<i>მათ შორის:</i>						
გეგმიური	6936	130.1	29.6	6455	126.2	30.7
სასწრაფო	16535	310.3	70.4	14589	285.3	69.3

ცოცხალშობადობა

დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაიბადა 51138 ბავშვი.

სამშობიარო სახლებში დაბადებულ ცოცხალშობილთა 6.6% წონანაკლული, ხოლო 7.7% - 4000 გრამზე მეტი წონის იყო.

ცხრილი 6.8 ცოცხალშობილთა წონა გრამებში დაბადებისას, საქართველო, 2018

	<499	500 - 999	1000 - 1499	1500-2499	2500-3999	> 4000	სულ
დაიბადა ცოცხალი	14	490	2 822	29 534	17 372	515	50 747
% ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან	0.0	1.0	5.6	58.2	34.2	1.0	100.0

ცხრილი 6.9 ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა რაოდენობა (სამშობიარო სახლების მონაცემები), საქართველო


	2017		2018	
	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან
პირველი საათის განმავლობაში	40692	76.2	41244	81.3
ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა საერთო რაოდენობა	50121	93.8	46972	92.6

მკვდრადშობადობა

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა; თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია. მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა კვლავ გამოწვევად რჩება.


საქართველოში 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა მკვდრადშობადობის რიცხვის შემცირება, სულ 436 შემთხვევა აღირიცხა, მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 8.5 იყო (ბოლო ხელმისაწვდომი წლის მონაცემებით დსთ - 9.3, ევროკავშირი - 5.3) (სურათი 6.7, 6.8).

სურათი 6.7 მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე, საქართველო



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; დკსჯეც

სურათი 6.8 მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე



წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“


2018 წელს მკვდრადშობადობის შემთხვევათა ანალიზი ჩატარდა დაბადების რეგისტრის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთა თანახმად, მკვდრადშობადობის 79.8% მოხდა ანტენატალურ პერიოდში, 12.6% ინტრანატალურ პერიოდში, ხოლო 7.7%-ში ნაყოფის გარდაცვალების დროის დადგენა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ვერ მოხერხდა.

ანტენატალურ პერიოდში მკვდრადშობილთა შორის 36.5% დაფიქსირებულ იქნა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 24.1% - ორსულობის 28-33 კვირაზე, 14.9% და 22.4% შესაბამისად - 34-36 და 37-41 კვირის ორსულობის ვადაზე.

ინტრანატალურ პერიოდში გარდაცვლილ ნაყოფთა (12.6%) შორის შემთხვევათა 70.9% დაფიქსირდა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 9.1% - ორსულობის 28-33 კვირის

ვადაზე, ხოლო მკვდრადშობადობის 7.3% დადგა ორსულობის 34-36 კვირის ვადაზე (სურათი 6.9).

სურათი 6.9 მკვდრადშობადობა გესტაციური ასაკის მიხედვით, საქართველო, 2018



წყარო: დეკჯეც

ცხრილი 6.10 მკვდრადშობილთა წონა გრამებში დაბადებისას, საქართველო, 2018

	<499	500 - 999	1000 - 1499	1500-2499	2500-3999	> 4000	სულ
დაიბადა მკვდარი	63	195	78	80	17	3	436
% მკვდრადშობილთა საერთო რაოდენობიდან	14.4	44.7	17.9	18.3	3.9	0.7	100.0

დედათა სიკვდილიანობა

ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ჩარჩოდან მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG) გარდამავალ პერიოდში აუცილებელია დედათა სიკვდილიანობის კომპლექსური შეფასება, რათა გამოვლინდეს წარმატებული მიმართულებები და დაფიქსირდეს არსებული პრობლემები.

მსოფლიოს მხოლოდ 10 ქვეყანაში იქნა მიღწეული MDG მეხუთე მიზანი (1990-დან 2015 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის შემცირება სამი მეოთხედით). ამავდროულად, 195 ქვეყნიდან 122-ში დღეისთვის უკვე მიღწეულია SDG 3.1 მიზანი (2030 წლისთვის დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი არ აღემატებოდეს 70-ს 100 000 ცოცხალშობილზე). 2015 წელს ჯერ კიდევ არსებობდა 24 ქვეყანა, სადაც დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 400-ს აღემატებოდა.

SDG 3.1-ის მისაღწევად საჭიროა ანტენატალური ვიზიტების მოცვა იყოს სულ მცირე 91%, ხოლო ოთხი ანტენატალური ვიზიტი განხორციელდეს მინიმუმ 78%-ში, სამედიცინო დაწესებულებებში მშობიარობების წილი 81%-ს და კვალიფიციური

სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი კი 87%-ს გაუტოლდეს.

2018 წლის მონაცემები დედათა გარდაცვალების შესახებ წარმოადგენს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა შეჯერების შედეგს.

ზემოაღნიშნული ოფიციალური სტატისტიკური წყაროებით, 2018 წელს საქართველოში აღირიცხა დედათა გარდაცვალების 20 შემთხვევა, მათ შორის დედათა ადრეული გარდაცვალების 14 შემთხვევა (პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზებით, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე - 27.4).


აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დედათა გარდაცვალების შემთხვევათა ნახევარზე მეტი (13 შემთხვევა) პირდაპირ სამეანო მიზეზებზე მოდის: სამეანო სისხლდენა - 2 შემთხვევა (15.3%), პრეეკლამფსია - 4 შემთხვევა (30.7%), სამეანო თრომბოემბოლია - 2 შემთხვევა (15.3%), ფილტვის შეშუპება - 1 შემთხვევა (7.6%), დაუზუსტებელი სიკვდილი - 1 შემთხვევა (7.6%), საშვილოსნოს რუპტურა - 1 შემთხვევა (7.6%), ფსიქიკური აშლილობა ლოგინობის ხანაში - 1 შემთხვევა (7.6%), აბორტის შემდგომი სისხლდენა - 1 შემთხვევა (7.6%) (სურათი 6.10).

არაპირდაპირი მიზეზებით გარდაცვალება 7 შემთხვევაში დადგა: გრიპი - 1 შემთხვევა (14.2%), სუბარახნოიდული სისხლჩაქცევა - 1 შემთხვევა (14.2%), თრომბოემბოლია - 1 შემთხვევა (14.2%), სუნთქვის მწვავე უკმარისობა - 1 შემთხვევა (14.2%), ანევრიზმა - 2 შემთხვევა (28.5%), მარჯვენა სარძევე ჯირკვლის სიმსივნე - 1 შემთხვევა (14.2%).

დედის ადრეული გარდაცვალების საერთო შემთხვევებიდან ვაგინალური მშობიარობით დამთავრდა 2 შემთხვევა (14.2%), საკეისრო კვეთით - 9 შემთხვევა (64.2%), აბორტის შემდგომი სისხლდენით - 1 შემთხვევა (7.1%). 2 ქალი გარდაიცვალა ორსულობის მიმდინარეობისას (14.2%).

დედების გვიანი გარდაცვალების საერთო შემთხვევებიდან ვაგინალური მშობიარობით დამთავრდა 4 შემთხვევა (66%) და საკეისრო კვეთით - 2 შემთხვევა (34%) (სურათი 6.10).

სურათი 6.10 დედათა სიკვდილიანობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით, საქართველო




წყარო: <https://vizhub.healthdata.org/gbd-foresight/>

ქვეყნების დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შეფასებებს ახორციელებენ სხვადასხვა სააგენტოები/ინსტიტუციები, როგორცაა, მაგალითად, გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი (Maternal Mortality Estimation Inter-agency Group - MMEIG) და ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (Institute for Health Metrics and Evaluation – IHME) (სურათი 6.11, 6.12).

ცხრილი 6.11 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე, საქართველო


წყარო	1990	1995	2000	2005	2006	2010	2012	2015	2016	2017	2018
ოფიციალური სტატისტიკა	41.5	53.1	47.8	23.9	23.0	21.7	32.2	32.2	23.0	13.1	27.4
MMEIG_2015	34	35	37	37	-	40	-	36	-	-	-
GBD	41.5	-	30.7	-	-	-	-	42.3	-	-	-
RAMOS	-	-	-	-	44	-	26	-	-	-	-

სურათი 6.11 დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დარღვევებით გამოწვეული გარდაცვალების პროგნოზი, ასაკ-სპეციფიური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 რეპროდუქციული ასაკის ქალზე, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/gbd-foresight/>

სურათი 6.12 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო : <http://www.thelancet.com/lancet/visualisations/gbd-SDGs>

ბავშვთა ავადობა

ცხრილი 6.12 ახალშობილთა ავადობა (“დაბადების“ რეგისტრის მონაცემები), საქართველო, 2018

	შემთხვევათა რაოდენობა	ინციდენტობა 1000 ცოცხლადშობილზე
სულ	11191	218.8
ნაყოფის და ახალშობილის დაზიანებები, გამოწვეული დედისეული ფაქტორებითა და ორსულობის, სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის გართულებებით	16	0.3
ორსულობის ხანგრძლივობასთან და ნაყოფის ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული დარღვევები	3864	75.6
სამშობიარო ტრავმა	133	2.6
პერინატალური პერიოდისათვის დამახასიათებელი რესპირაციული და გულ-სისხლძარღვოვანი დარღვევები	3292	64.4
პერინატალური პერიოდისათვის დამახასიათებელი ინფექციები	1428	27.9
ნაყოფისა და ახალშობილის ჰემორაგიული და ჰემატოლოგიური დარღვევები	853	16.7
ნაყოფისა და ახალშობილისათვის დამახასიათებელი გარდამავალი ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები	49	1.0
ნაყოფისა და ახალშობილის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაზიანებები	29	0.6
ნაყოფისა და ახალშობილის კანის საფარისა და თერმორეგულაციის ცვლილებები	35	0.7
პერინატალურ პერიოდში აღმოცენებული სხვა დარღვევები	492	9.6
ნერვული სისტემის განვითარების თანდაყოლილი ანომალიები	21	0.4
თვალის, ყურის, სახისა და კისრის თანდაყოლილი ანომალიები	1	0.0
სისხლის მიმოქცევის სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	176	3.4
სასუნთქი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	4	0.1
ცხვირის განვითარების მანკების ერთობლივად დადგენისათვის	15	0.3
საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	62	1.2
სასქესო ორგანოების თანდაყოლილი ანომალიები	94	1.8
საშარდე სისტემის თანდაყოლილი ანომალიები	18	0.4
ძვალ-კუნთოვანი სისტემის თანდაყოლილი ანომალიები და დეფორმაციები	79	1.5
სხვა თანდაყოლილი ანომალიები	12	0.2
ქრომოსომული დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	6	0.1
სხვა	21	0.4

2018 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 76603 ახალი შემთხვევა (2017 წელს - 81158), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-1 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 1439.9 (2017 წელს - 1481.0). ავადობის სტრუქტურაში 57.7% (2017 წელს - 61.9%) სუნთქვის ორგანოების, 6.04% (2017 წელს - 3.8%) ინფექციურ და პარაზიტულ ავადმყოფობებზე მოდიოდა.

ცხრილი 6.13 ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, 2018

	ინციდენტობა ერთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	831.4
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	120.1
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	83.8
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	65.3
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	51.4
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	40.3

2018 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 24546 ბავშვს (2017 წელს - 24563), მათ შორის 41.0% (2017 წელს - 45.1%) სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო, 27.9% (2017 წელს - 28.1%) - პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების გამო, 14.8% (2017 წელს - 12.4%) ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო.

ცხრილი 6. 14 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2018

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	24546	1.4
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	3635	0.2
სიმსივნეები	511	1.2
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	80	1.3
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	19	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	190	2.1
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	104	0.0
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	8	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	133	7.5
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	10064	0.2
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	418	1.2
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	76	0.0
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	49	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	493	0.0
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	6847	3.7
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	770	4.8
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	1065	0.8
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	300	0.3
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	26	0.0

2018 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის 297925 ახალი შემთხვევა (2017 წელს - 258403), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე – 1070.9 (2017 წელს - 935.2).

0-5 წლამდე ბავშვთა ავადობის სტრუქტურაში 58.6% სუნთქვის ორგანოების (2017 წელს - 64.7%), 11.4% - ინფექციურ და პარაზიტულ ავადმყოფობებზე მოდიოდა (2017 წელს - 9.6%).

ცხრილი 6.15 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, 2018

	ინციდენტობა ხუთ წლამდე ასაკის 1000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	627.3
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	122.3
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	73.1
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	62.5
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	35.8
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შედეგები	26.7

2018 წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-5 წლამდე ასაკის 62206 ბავშვს (2017 წელს - 59846), მათ შორის 48.7% სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების გამო (2017 წელს - 52.1%), 19.1% ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების გამო (2017 წელს - 16.8%), 26.7% - ტრავმების, მოწამვლების და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგების გამო, 11.0% - პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების გამო (2017 წელს - 11.6%).

ცხრილი 6.16 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2018

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	62206	0.6
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	11864	0.1
სიმსივნეები	631	1.3
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	293	0.3
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	79	1.3
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	1	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	543	2.2
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	269	0.4
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	68	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	156	9.0
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	30292	0.1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	1203	0.4
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	262	0.0
მვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	211	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	1359	0.1
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	6869	3.8
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	1549	2.5
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	3953	0.3
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგები	2489	0.2
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	115	0.9

ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მონაცემებით, 2018 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო ყველა კლასის ავადმყოფობათა 525563 ახალი შემთხვევა (2017 წელს - 536 512), ინციდენტობის მაჩვენებელი 0-15 წლის ასაკის 100000 ბავშვზე – 70103.1 (2017 წელს - 72 609.5).

ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების კლასში - 38517.6 (2017 წელს - 41 378.5), მათ შორის მაღალი იყო ავადობა ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 27635.3), პნევმონიით (მაჩვენებელი - 1832.0) და ქვედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე რესპირაციული ინფექციებით (მაჩვენებელი - 4872.9).

ცხრილი 6.17 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ავადობის ძირითადი მიზეზები, 2018

ავადობის მიზეზი	ინციდენტობა 15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	38517.6
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	7081.5
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	6273.8
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	4593.2
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	4036.4
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	3279.9
ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	3093.6

საანგარიშო წელს ჰოსპიტალური მომსახურება გაეწია 0-15 წლამდე ასაკის 98 285 ბავშვს (2017 წელს - 94629).

ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მაღალი იყო სასუნთქი სისტემის, ინფექციური და პარაზიტული, პერინატალურ პერიოდში განვითარებული ავადმყოფობების და ტრავმების, მოწამვლების და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შედეგების კლასებში.

ცხრილი 6.18 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2018

	ჰოსპიტალიზაციების რაოდენობა	ლეტალობა %
სულ	98192	0.5
<i>მათ შორის:</i>		
ინფექციური ავადმყოფობები	16814	0.1
სიმსივნეები	1167	1.5
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	620	0.2
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	545	0.2
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	105	0.0
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	953	1.8
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	596	0.0
ყურისა და დერილისებრი მორჩის ავადმყოფობები	175	0.0
სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობები	248	7.3
სუნთქვის ორგანოების ავადმყოფობები	48192	0.1
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობები	4028	0.1
კანისა და კანქვეშა უჯრედისის ავადმყოფობები	571	0.0
მვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	646	0.0
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	2416	0.0
სობიარობა, ორსულობა, ლოგინობის ხანა	22	0.0
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	6862	3.8
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	2191	1.8
არაიდენტიფიცირებული მიზეზები	5896	0.0
ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	5723	0.2
ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე	422	0.2

ბავშვთა სიკვდილიანობა


ჯანმრთელობის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად ნეონატალური სიკვდილიანობის წილი 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობაში 45%-ს შეადგენს. 2018 წელს საქართველოში ნეონატალური სიკვდილიანობის წილმა 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 50.9% შეადგინა (2017 წ. - 58.9), (სურათი 6.13).

ცხრილი 6.19 ნეონატალური და პერინატალური სიკვდილიანობა, საქართველო

წელი	0-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	0-7 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	7-28 დღემდე 1000 ცოცხალშობილზე	პერინატალური სიკვდილიანობა 1000 დაბადებულზე
2010	9.6	6.6	3.0	17.4
2011	8.5	6.1	2.4	15.6
2012	9.2	6.6	2.7	17.7
2013	8.4	6.7	1.7	16.1
2014	7.2	5.1	2.1	15.5
2015	5.8	3.8	2.1	13.6
2016	6.3	4.1	2.2	13.8
2017	6.8	4.5	2.3	13.8
2018	5.0	3.2	1.7	11.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


სურათი 6.13 ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: <https://vizhub.healthdata.org/gbd-foresight/>; სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური მონაცემებით, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებზე 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების თითქმის 75% მოდის. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2018 წელს ეს წილი 83.4%-ს შეადგენდა (2017 წელს - 83.9%). ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველა წყაროს მონაცემებით კლების დინამიკით ხასიათდება (სურათი 6.14).

სურათი 6.14 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 6.20 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო

წყარო	2000	2005	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქსტატი	27.3	29.5	16.9	14.6	13.2	9.5	8.6	9.0	9.6	8.1
IGME	30.9	21.7	14.6	12.6	11.7	11.3	10.6	10.5	10	-
GERHS	41.6	21.1	14.1	-	-	-	-	-	-	-

2018 წელს 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურაში 68.5%-ს პერინატალური პერიოდის ავადმყოფობები შეადგენდა (2017 წელს - 70.1%).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, კლების ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აღემატება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს.


2015 წელს მსოფლიოში 0-5 წლამდე ასაკის 5.8 მლნ ბავშვი გარდაიცვალა, რაც 52%-ით ნაკლებია 1990 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 42.2%-ით, ხოლო მკვდრადშობადობის მაჩვენებელი - 47%-ით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის შემცირება 58 ქვეყანაში განხორციელდა წარმატებულად და, შესაბამისად, მიაღწეულ იქნა MDG4 მიზანი. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან კიდევ 28 ქვეყანა შეუერთდა ზემოაღნიშნული წარმატებული ქვეყნების რიცხვს.

საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ათასწლეულის განვითარების მიზანს მიაღწია, როგორც ოფიციალური სტატისტიკის, ასევე საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებების (ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი - IGME) და ფართომასშტაბიანი კვლევების (რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა - Georgian Reproductive Health Survey GERHS, ავადობის გლობალური ტვირთის კვლევა - აგტკ (Global Burden of Disease Study – GBD) მონაცემებით. მნიშვნელოვანია, რომ GBD-ის და IGME-ს შეფასებები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე თითქმის გათანაბრდა, თანხვედრამ 98%-ს მიაღწია (სურათი 6.15).

ცხრილი 6.21 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო

წყარო	2000	2005	2010	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქსტატი	30.1	31.5	18.9	16.7	15.6	10.9	10.2	10.7	11.1	9.8
IGME	35.3	24.5	16.4	14.1	13.1	12.6	11.9	გოგო -10 ბიჭი - 12	--	--
GBD	36.2	28.0	21.8	-	-	-	17.4	11.7	--	--
RHS	45.2	25.1	16.4	-	-	-	-	-	--	--

სურათი 6.15 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თავი 7.

რისკის ფაქტორების კვლევები



ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC - Health Behaviour in School-Aged Children)

კვლევა „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები სასკოლო ასაკის ბავშვებში (HBSC)“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით 2018 წელს ჩაატარა ქვეყნის მასშტაბით. კვლევის მიზანი იყო ახალი მტკიცებულებების მოპოვება და მოზარდების ცნობიერების დონის ამაღლება ჯანმრთელობის ქცევასთან, ჯანმრთელობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებით სოციალურ ჭრილში.

კვლევაში ჩართული იყო 11, 13, და 15 წლის 4242 რესპონდენტი 123 საჯარო და კერძო სკოლიდან. ეს ასაკობრივი ჯგუფები შეირჩა ამ ასაკში განვითარების მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ეტაპების გავლის გამო. 11 და 13 წლის ასაკის ბავშვებში გამოყენებულ იქნა ერთიდაიგივე კითხვარი, 15 წლის მოზარდებისათვის კითხვარს დაემატა კითხვები რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შესახებ.

ცხრილი 7.1 HBSC სასწავლო ნიმუში

	ასაკი			სულ
	11 წლის	13 წლის	15 წლის	
თბილისი	289	370	331	990
ქალაქი	477	438	478	1393
სოფელი	625	694	540	1859
სულ	1391	1502	1349	4242

ქცევის რისკები მოზარდებში


11 წლის ასაკის ყოველი მეათე ბავშვს (23% გოგონა და 19% ბიჭი) ერთხელ მაინც მოუწევია სიცოცხლის განმავლობაში, მათი წილი ასაკთან ერთად მატულობს.

ცხრილი 7.2. მოსწავლეები, რომლებსაც სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოწიეს

	11 წლის	13 წლის	15 წლის
ბიჭი	19%	22%	59%
გოგო	23%	28%	48%

როგორც მოსალოდნელი იყო, 15 წლის ასაკიდან, მოზარდების წილი, რომელიც იწყებს მოწევას, მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. გოგონების 53% და ბიჭების 57% მიუთითებს იმაზე, რომ დაიწყეს მოწევა. ბოლო 30 დღის განმავლობაში სიგარეტის მოხმარება ასაკის მატებასთან ერთად იზრდება (სურათი 7.1).


სურათი 7.1 მოზარდთა წილი, რომელთაც ბოლო 30 დღის განმავლობაში ერთხელ მაინც აქვთ მოწეული



ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება, ალკოჰოლი


15 წლის ასაკის მოზარდთა 28% აცხადებს, რომ მათ სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაუღვავიათ (ბიჭების 34% და გოგონების 23%), რაც საკმაოდ ყურადსაღებია (სურათი 7.2).

სურათი 7.2 ალკოჰოლის მოხმარება 15 წლის ასაკში



11 წლის ასაკში თითქმის ყოველ მეხუთეს და 13 წლის ასაკში ყოველ მესამეს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი. ეს წილი ყველაზე მაღალია 15 წლის ასაკში (სურათი 7.3).

სურათი 7.3 მოზარდების წილი, რომლებსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიუღიათ 2 ულუფა ალკოჰოლი



მარიხუანას გამოყენება

15 წლის ასაკის გამოკითხულთა 3%-მა მიუთითა კანაფის (მარიხუანა, ჰაშიშის, და სხვა) გამოყენებაზე ერთხელ ცხოვრების მანძილზე, ხოლო 2.45% - ბოლო ერთი თვის განმავლობაში. ბიჭები გოგონებთან შედარებით 10-ჯერ უფრო ხშირად მოიხმარდნენ მარიხუანას, გასული თვის განმავლობაში.

ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის შესახებ კვლევა საქართველოში

ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის დადგენა მოხდა ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში, რომელიც შინამეურნეობების ყველაზე დიდი კვლევაა მსოფლიოში და საქართველოში 2018 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა. კვლევის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით შეგროვდა ოჯახების, ბავშვების და ქალების მდგომარეობის შესახებ მაღალი ხარისხის მონაცემები, რომელთა შედარებაც შესაძლებელია საერთაშორისო მონაცემებთან. კვლევა ჩატარა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და იტალიის ჯანდაცვის ინსტიტუტის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ტყვიის დონის განსასაზღვრად, ვენური სისხლის სინჯები შეგროვდა 2-დან 7 წლამდე ასაკის 1578 ბავშვისგან. ბავშვების ჩართვა კვლევაში მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და სინჯები გაიგზავნა იტალიის ჯანმრთელობის ინსტიტუტის ლაბორატორიაში, რომელიც წარმოადგენს ევროპის წამყვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტს. ტყვიის შემცველობაზე სისხლის ნიმუშის კვლევისას

გამოყენებული იყო ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი (ICP MS), რაც წარმოადგენს ტყვიის კვლევის ოქროს სტანდარტს.


ტყვიის მინიმალური, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმში არ არის დადგენილი. თუმცა, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციების შესაბამისად, გარკვეული ინტერვენციები უნდა დაიგეგმოს, როდესაც ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე).

სისხლში ტყვიის დონე ≥ 5 მკგ/დლ აღმოაჩნდა კვლევაში მონაწილე ბავშვთა 41%-ს, 5-დან 10 მკგ/დლ-მდე - 25%-ს, ხოლო ≥ 10 მკგ/დლ - 16%-ს (სურათი 7.4, სურათი 7.5, სურათი 7.6, სურათი 7.7, სურათი 7.8).

ცხრილი 7.2. სისხლში ტყვიის დონე რეგიონების მიხედვით


რეგიონი	≥ 5 მკგ/დლ	≥ 10 მკგ/დლ
აჭარა	85%	50%
გურია	73%	44%
თბილისი	30%	7%
იმერეთი	61%	23%
კახეთი	25%	4%
მცხეთა - მთიანეთი	20%	6%
სამეგრელო, ზემო სვანეთი	71%	29%
სამცხე - ჯავახეთი	32%	12%
ქვემო ქართლი	18%	6%
შიდა ქართლი	21%	4%

სურათი 7.4 ტყვიის შემცველობის გავრცელება (%)




■ < 5 მკგ/დლ ■ 5-9.9 მკგ/დლ ■ > 10 მკგ/დლ


სურათი 7.5 ≥ 5 მკგ/დლ და ≥ 10 მკგ/დლ ტყვის შემცველობის გავრცელება (%)




სურათი 7.6 ≥ 5 მკგ/დლ ტყვის შემცველობის გავრცელება რეგიონების მიხედვით (%)



სურათი 7.7 ტყვიის შემცველობის საშუალო მაჩვენებელი (მკ/დლ)



სურათი 7.8 ტყვიის შემცველობის მედიანური მაჩვენებელი (მკ/დლ)



ბავშვთა ასაკის სიმსუქნის ეპიდემიის მხედველობის ინიციატივა

ჭარბი წონა ბავშვებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში, რაც შესაძლოა ერთერთი ხელშემშლელი ფაქტორი გახდეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ქვეყნებისათვის. არაჯანსაღი და არასრულფასოვანი კვება და დაბალი ფიზიკური აქტივობა ჭარბი წონის გავრცელების მიზეზებია. ერთადერთი გზა ეპიდემიის შესაჩერებლად არის სიმსუქნის პრევენცია.

ბავშვთა სიმსუქნე მრავალფაქტორული დაავადებაა, რომელიც კავშირშია ფართო სპექტრის სამედიცინო და სოციალურ პრობლემებთან, ნაადრევი სიკვდილის და ინვალიდობის მაღალი რისკის ჩათვლით. ჭარბი წონა ბავშვებში გრძელვადიან პერსპექტივაში უშუალოდ უკავშირდება კარდიოვასკულარულ, მეტაბოლურ და ჯანმრთელობასთან ასოცირებულ სხვა უარყოფით შედეგებთან.

ბავშვთა შორის ჭარბი წონის პრევალენტობა მაღალია და იგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემას წარმოადგენს ევროპის რეგიონშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ჭარბი წონა გავლენას ახდენს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, სკოლაში მოსწრების ხარისხზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, სიმსუქნის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, სიმსუქნისა და ჭარბწინიანობის ადრეული გამოვლენა და, საჭიროების შემთხვევაში მისი მკურნალობა.

საქართველოში 2017 წელს პირველად ჩატარდა კვლევა, რომელმაც შეისწავლა სიმსუქნისა და ჭარბწინიანობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო შვიდი წლის 4143 მოსწავლემ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლებიდან. სკოლები შერჩეული იყო რანდომულად. კვლევა წარმოადგენდა ერთსაფეხურიან კლასტერულ კვლევას.


შესწავლილი იქნა შემდეგი ანთროპომეტრული მონაცემები: სიმაღლე, წონა, წელისა და თეძოს გარშემოწერილობა, ბავშვთა ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში და მათი კვებითი ჩვევები. სრულად იქნა გამოკვლეული სკოლის გარემო შემდეგი მიმართულებით: ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაკვეთილების რაოდენობა კვირის მანძილზე და ბავშვების მონაწილეობა სხვა სპორტულ აქტივობებში, სკოლაში ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები, სკოლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული ჯანმრთელობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ცხრილი 7.3 კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა


	ბიჭები	გოგონები	სულ
კვლევაში ჩართულ მეორე კლასელ ბავშვთა რაოდენობა	2019	2124	4143
ანთროპომეტრულ გაზომვებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა	1723	1620	3343
კვლევაში ჩართულ 7 წლის ბავშვთა რაოდენობა	1451	1376	2827
კვლევაში ჩართულ ბავშვთა ოჯახის წევრების პროცენტული მაჩვენებელი	83%	74%	78%

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სიმსუქნისა და ჭარბწონიანობის პრევალენტობა საკმაოდ მაღალია 7 წლის ბავშვთა შორის ქვეყნის მასშტაბით (სურათი 7.9, სურათი 7.10, სურათი 7.11, სურათი 7.12).


სურათი 7.9 ჭარბწონიანობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით




სურათი 7.10 სიმსუქნის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით



სურათი 7.11 წონის ნაკლებობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით



სურათი 7.12 ზრდაში ჩამორჩენის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით



ნუტრიციული ზედამხედველობა საქართველოში

2015 წელს აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო ნუტრიციული ზედამხედველობის და მონიტორინგის სისტემის დანერგვის პროცესი „მიკრონუტრიენტთა დეფიციტის ზედამხედველობის გაძლიერების“ აშშ CDC – NCDC საქართველო კოლაბორაციული პროექტის ფარგლებში. პროექტის რეალიზებას ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდა აგრეთვე გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). ზედამხედველობა ტარდება საქართველოს 4 რეგიონში (თბილისი, კახეთი/ლაგოდეხი, აჭარა/ბათუმი, და სამეგრელო/მარტვილი). თითოეულ ამ რეგიონში ზედამხედველობის სისტემაში ჩართულია 2 სენტინელური სამედიცინო დაწესებულება (ბავშვთა და ორსულთა). სისტემის 3-4 წლიანმა ფუნქციონირებამ წარმოაჩინა რკინის და ფოლატის დეფიციტის მწვავე პრობლემა, და კვლავ აქტუალური გახდა საკითხი ფორტიფიკაციასთან დაკავშირებით. გასული სამი წლის განმავლობაში სამიზნე ჯგუფებში (ორსულები, ბავშვები <2) ზედამხედველობის შედეგები აჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად მაღალია რკინის დეფიციტი როგორც ბავშვებში, ასევე ორსულებში და ფოლატის დეფიციტი ორსულებში. კერძოდ, რკინის დეფიციტის მაჩვენებელი 70-80%-ის ფარგლებშია ბავშვებში (12-23 თვის) და 60%-ს ფარგლებში ორსულებში (1-ელ ტრიმესტრში). მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება აგრეთვე ფოლატის დეფიციტთან მიმართებაშიც, იგი 30%-ის ფარგლებში მერყეობს. შედარებით მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (აღმოსავლეთის რეგიონებთან შედარებით). ასევე მაღალია ნერვული მილის დეფექტების (NTDs) გავრცელების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე (იგი სენტინელებში დაფიქსირებული შემთხვევების მიხედვით 4-ის ფარგლებშია - ჯანმოს რეკომენდაციების თანახმად არ უნდა აღემატებოდეს 0.5-ს), რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორსულებში ფოლატის დეფიციტის უმთავრესი მიზეზითაა გამოწვეული (ნუტრიციული ზედამხედველობის სიტემა აფიქსირებს, როგორც, ნერვული მილის დეფექტით დაბადებულ ბავშვებს, ასევე ულტრაბგერითი კვლევით გამოვლენილი ნერვული მილის დეფექტის მიზეზით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შემთხვევებს).

ცხრილი 7.4 ანემია - 2016-2018 წლების გაერთიანებული მონაცემები რეგიონების (სენტინელების) მიხედვით

რეგიონი	12-23 თვის ბავშვის რაოდენობა	Hb<110 g/L	ორსულთა რაოდენობა (1-ლი ტრიმესტრი)	Hb <110 g/L
თბილისი	191	37.3%	176	13.3%
კახეთი	198	38.6%	180	15.8%
აჭარა	195	45.4%	181	22.6%
სამეგრელო	197	20.6%	186	13.0%
სულ	781	35.5%	723	16.5%

ცხრილი 7.5 რკინის (ფერიტინი) და ფოლატის დეფიციტი, 2016-2018

რეგიონი	12-23 თვის ბავშვის რაოდენობა	რკინის დეფიციტი	ორსულთა რაოდენობა (1-ლი ტრიმესტრი)	რკინის დეფიციტი	ფოლატის დეფიციტი
თბილისი	191	70%	176	51.7%	20.0%
კახეთი	198	72.0%	180	55.0%	28.4 %
აჭარა	195	80.0%	181	62.5%	32.5%
სამეგრელო	197	68.2%	186	60.8%	42.2 %
სულ	781	72%	723	58%	30.6%

ცხრილი 7.6 NTDs გავრცელება (პროექტში ჩართული სენტინელების მიხედვით), 2016-2018

ცოცხალშობილთა რაოდენობა	NTDs (ნერვული მილის დეფექტები)	NTDs 1000 ცოცხალშობილზე
8741	34	3.9

ცხრილი 7.7 NTDs გავრცელება რეგიონების მიხედვით (მხოლოდ სენტინელების მონაცემები), 2016-2018

რეგიონი	ცოცხალშობილთა რაოდენობა	NTDs (ნერვული მილის დეფექტები)		
		სულ	Spina Bifida/ზურგის ტვინის თიაქარი	ანენცეფალია / ენცეფალოცელე
თბილისი	6110	17	13	3/1
კახეთი	802	4	3	1
აჭარა	1299	10	6	3/1
სამეგრელო	530	3	2	1
სულ	8741	34	24	8/2

ცხრილი 7.8 ანთროპომეტრული გაზომვები, 2016-2018

სამიზნე კონტინგენტი	წილი (%)					
	ზრდაში ჩამორჩენა	გამოფიტვა		ნაკლები წონა		ჭარბი წონა
ბავშვები (12-23 თვე)		< -3 მწვავე	< -2	< -3 Z მწვავე	< -2	> +2
ოთხივე რეგიონი	< -2 Z-scores	0.5	1.1	0.1	1.2	22.6
1248	10.4					

თავი 8.

სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით



თბილისი

მოსახლეობა
სულ - 1164900
ცოცხალშობილები
რაოდენობა - 16161 მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე - 13.9
მკვდრადშობილები
რაოდენობა - 121 მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე - 7.4
5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება
რაოდენობა - 136; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 8.4
1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება
რაოდენობა - 107 სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 6.6
სამედიცინო დახმარება - სამშობიარო დაწესებულების მონაცემები
მშობიარობა - 24361 საკეისრო კვეთა - 9384 მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 580.7
აბორტები
რაოდენობა - 10106 მაჩვენებელი 100 ცოცხალშობილზე - 41.1
სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი
სტაციონარული დაწესებულებები - 127 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები - 382 სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიმწოდებელი - 10 ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი - 10
სამედიცინო კადრები
ექიმი - 17292 ექთანი - 8566
მიმართვები ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში და სასწრაფო დახმარებისთვის
მიმართვათა რიცხვი - 7241382 მაჩვენებელი 1 მოსახლეზე - 6.2
საწოლთა ფონდი
რაოდენობა - 8361 მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 717.8

აჭარა

	მოსახლეობა	ცოცხალშობილები		
		რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	
აჭარა	347688	5800	16.7	
ბათუმი	164742	2885	17.5	
ქედა	16817	242	14.4	
ქობულეთი	73103	1142	15.6	
შუახევი	15109	206	13.6	
ხელვაჩაური	52242	896	17.2	
ხულო	25676	429	16.7	
მკვდრადშობილები				
რაოდენობა - 36; მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე - 6.1				
5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 78 ; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 13.4				
1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 66; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 11.4				
სამეანო დახმარება - სამშობიარო დაწესებულების მონაცემები				
მშობიარობა - 6078				
საკეისრო კვეთების რაოდენობა - 3135; მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 540.5				
აბორტები				
რაოდენობა - 3592; მაჩვენებელი 100 ცოცხალშობილზე - 58.5				
სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი				
სტაციონარული დაწესებულებები - 19				
ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები - 207				
სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიმწოდებელი - 5				
ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი - 3				
სამედიცინო კადრები				
	ექიმების რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	ექთნების რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე
აჭარა	2654	763.3	2059	592.2
ბათუმი	2223	1349.4	1732	1051.3
ხელვაჩაური	60	114.9	48	91.9
ქედა	32	190.3	32	190.3
ხულო	36	140.2	49	190.8
ქობულეთი	267	365.2	171	233.9
შუახევი	36	238.3	27	178.7
მიმართვები ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში და სასწრაფო დახმარებისთვის				
მიმართვათა რიცხვი - 731576; მაჩვენებელი 1 მოსახლეზე - 2.1				
საწოლთა ფონდი				
რაოდენობა - 1542 ; მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 443.5				

გურია

	მოსახლეობა	ცოცხალშობილები		
		რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	
გურია	109960	1272	11.6	
ლანჩხუთი	30653	290	9.5	
ოზურგეთი	60969	749	12.3	
ჩოხატაური	18339	233	12.7	
მკვდრადშობილები				
რაოდენობა -21; მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე - 0,2				
5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 10 ; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 7,9				
1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 9; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 7,1				
სამედიცინო დახმარება - სამშობიარო დაწესებულების მონაცემები				
მშობიარობა - 485				
საკეისრო კვეთების რაოდენობა - 147; მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 115,6				
აბორტები				
რაოდენობა -147; მაჩვენებელი 100 ცოცხალშობილზე - 30,3				
სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი				
სტაციონარული დაწესებულებები - 5				
ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები - 108				
სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიმწოდებელი - 3				
ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი - 0				
სამედიცინო კადრები				
	ექიმების რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	ექთნების რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე
გურია	405	368.3	275	250.1
ჩოხატაური	83	453.6	54	295.1
ოზურგეთი	185	303.3	146	239.3
ლანჩხუთი	137	446.3	75	244.3
მიმართვები ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში და სასწრაფო დახმარებისთვის				
მიმართვათა რიცხვი - 288576; მაჩვენებელი 1 მოსახლეზე - 2,6				
საწოლთა ფონდი				
რაოდენობა - 142 ; მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 129,1				

იმერეთი

	მოსახლეობა	ცოცხალშობილები		
		რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	
იმერეთი	502217	6757	13.5	
ქ. ქუთაისი	139576	2270	16.3	
ბაღდათი	19553	249	12.7	
ვანი	22519.5	325	14.4	
ზესტაფონის	56281.5	724	12.9	
თერჯოლის	32966	377	11.4	
სამტრედიის	45461	552	12.1	
საჩხერის	36068.5	477	13.2	
ტყიბულის	19070.5	196	10.3	
წყალტუბოს	50570.5	570	11.3	
ჭიათურის	39114.5	511	13.1	
ხარაგაულის	18997.5	226	11.9	
ხონის	22038.5	280	12.7	
მკვდრადშობილები				
რაოდენობა - 48; მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე - 7.1				
5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 50; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 7.4				
1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება				
რაოდენობა - 41; სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 6.1				
სამედიცინო დახმარება - სამშობიარო დაწესებულების მონაცემები				
მშობიარობა - 6606				
საკეისრო კვეთების რაოდენობა - 3226; მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე - 477.4				
აბორტები				
რაოდენობა - 1882; მაჩვენებელი 100 ცოცხალშობილზე - 28.4				
სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი				
სტაციონარული დაწესებულებები - 38				
ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები - 389				
სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიმწოდებელი - 13				
ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი - 3				
სამედიცინო კადრები				
	ექიმი		ექთანი	
	რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	რაოდენობა	უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე
იმერეთი	3518	700.5	2578	513.3
სამტრედია	210	461.9	88	193.6
ჭიათურა	94	240.3	89	227.5
ქუთაისი	2192	1570.5	1569	1124.1
ბაღდათი	56	286.4	35	179.0
ვანი	65	288.6	45	199.8
საჩხერე	138	382.6	194	537.9
თერჯოლა	181	549.1	81	245.7
ტყიბული	48	251.7	31	162.6
ხარაგაული	54	284.2	44	231.6
ხონი	98	444.7	136	617.1
წყალტუბო	130	257.1	61	120.6
ზესტაფონი	252	447.7	205	364.2
მიმართვები ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში და სასწრაფო დახმარებისთვის				
